

**ობსერვატორიის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის
არჩევის წესი**

თავი I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ობსერვატორიის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის არჩევის (შემდეგში - „კონკურსი“) წესი (შემდეგში - „წესი“) არეგულირებს სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ღია კონკურსის გამოცხადების, მიმდინარეობის, პირის არჩევისა და ამ მიზნით ობსერვატორიის სამეცნიერო საბჭოს (შემდეგში - „საბჭო“) საქმიანობასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

მუხლი 2. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია ობსერვატორიის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილე პირებს (შემდეგში - „კანდიდატი“) შორის საუკეთესო კანდიდატის არჩევა, მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებისა და ობსერვატორიის მიზნების გათვალისწინებით.

მუხლი 3. კონკურსის ენა და კომუნიკაციის ფორმა

1. კონკურსი და მასთან დაკავშირებული საქმისწაროება წარმართება სახელმწიფო ენაზე.
2. საქართველოში ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების ადკვეთის მიზნით, საქმისწარმოება და კონკურსთან დაკავშირებული კომუნიკაცია უზრუნველყოფილ უნდა იქნას თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, დისტანციურად, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს პირადად კომუნიკაციის აუცილებლობა. ასეთ შემთხვევაში სავალდებულოა დაცულ იქნას საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი რეკომენდაციები.
3. კონკურსსანტს კონკურსის თითოეული ეტაპის შედეგების შესახებ ეცნობება მის მიერ განცხადებაში მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე.

მუხლი 4. ვადები

კონკურსი მიმდინარეობს ობსერვატორიის დირექტორის ბრძანებით დადგენილ ვადებში. საბჭო თავის საქმიანობას ახორციელებს ამ და სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილ ვადებში. ამასთან იგი უფლებამოსილია დაადგინოს კონკურსის ეტაპებისა და სხვა შიდა ვადები, რომლებიც სხვა სამართლებრივი აქტებით არ არის განსაზღვრული.

მუხლი 5. ინტერესთა კონფლიქტი

1. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, საბჭოს წევრი, რომელსაც განცხადება აქვს წარდგენილი კონკურსში, არ მონაწილეობს საბჭოს მიერ მის მიმართ ან მისი კონკურენტი განმცხადებლის/კანდიდატის მიმართ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი წესი, ასევე, მოქმედებს თუკი საბჭოს წევრსა და განმცხადებელს შორის არის ნათესაური კავშირი. ნათესავში იგულისხმება „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პირ(ებ)ი.
3. აკრძალულია ინტერესთა კონფლიქტის არსებობის ფაქტის დამალვა. პირმა უნდა იხელმძღვანელოს კეთილსინდისიერებისა და თანამშრომლობის პრინციპებით.

4. ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში, საბჭოს წევრი ვალდებულია მიმართოს საბჭოს თვითაცილების შესახებ განცხადებით, ხოლო ასეთი განცხადების წარდგენაზე უარის შემთხვევაში - საბჭომ თავად უნდა იმსჯელოს და მიიღოს გადაწყვეტილება აცილების შესახებ.

თავი II. კონკურსის მიმდინარეობა

მუხლი 6. კონკურსის ეტაპები და კონკურსის ჩატარებაზე უფლებამოსილი პირი

1. კონკურსი ტარდება შემდეგ ეტაპებად:
 - ა) I ეტაპი - კანდიდატების რეგისტრაცია;
 - ბ) II ეტაპი - არჩევა.
2. კონკურსს ატარებს საბჭო.

მუხლი 7. საბჭო

1. საბჭოს წევრების, საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილება და საბჭოს საქმიანობის წესი განსაზღვრულია ობსერვატორიის წესდებით.
2. საბჭოს თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება.
3. საბჭოს სხდომები ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი/მდივნის მოვალეობის შემსრულებელი. საბჭოს წევრს უფლება აქვს ჰქონდეს განსხვავებული აზრი, რაც აღინიშნება სხდომის ოქმში და მისი სურვილის შემთხვევაში, შესაძლებელია დაერთოს ოქმს.
4. საქმეთა თემატური ფორმირების მიზნით, საბჭოს სხდომის ოქმები, რომლებიც შეეხება კონკურსის მიმდინარეობას, ოქმდება სხვა, მიმდინარე საკითხებისაგან დამოუკიდებლად. შესაბამისად, ოქმების ნუმერაცია აითვლება 1-დან და ინომრება სხვა ოქმებისაგან დამოუკიდებლად, თანმიმდევრულად, უწყვეტობის პრინციპით.
5. საბჭოს მუშაობასთან დაკავშირებული ის ურთიერთობები, რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე წესით ან სხვა სპეციალური სამართლებრივი აქტით, დგინდება საბჭოს მიერ. დაუშვებელია ასეთი პროცედურა ეწინააღმდეგებოდეს წინამდებარე წესს და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.
6. საბჭოს/საბჭოს საკონკურსო სამდივნოს წევრი ვალდებულია კონკურსის მიმდინარეობის პროცესში დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი და არ გაამჟღავნოს საბჭოს მუშაობასთან და გადაწყვეტილების მომზადება-მიღებასთან დაკავშირებული შიდაუწყებრივი ხასიათის ინფორმაცია/დოკუმენტი, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა კონკურსის მიმდინარეობისას და საქართველოს კანონმდებლობის თანახმად ხელისაწვდომი არ უნდა იყოს სხვა პირებისთვის.

მუხლი 8. საბჭოს საკონკურსო სამდივნო

1. კონკურსის ტექნიკური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, ობსერვატორიის დირექტორი ობსერვატორიის თანამშრომელთაგან, ბრძანებით ქმნის საბჭოს საკონკურსო სამდივნოს (შემდეგში - „სამდივნო“) და განსაზღვრავს მის შემადგენლობას.
2. სამდივნო:
 - ა) იღებს და რეგისტრაციაში ატარებს კონკურსთან დაკავშირებულ განცხადებებსა და სხვა სახის კორესპონდენციებს, ახორციელებს კონკურსთან დაკავშირებულ საქმისწარმოებას;
 - ბ) ადმინისტრირებას უწევს ელექტრონულ ფოსტას - vacancy@abao.ge;
 - გ) ახორციელებს დაინტერესებულ პირთა ინფორმირებას მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ, აწარმოებს მათთან კომუნიკაციას;
 - დ) მონიტორინგს უწევს საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას;
 - ე) ასრულებს საბჭოს თავმჯდომარის/საბჭოს ცალკეულ დავალებებს;
 - ვ) უზრუნველყოფს საბჭოს სხდომების ჩატარების ინფრასტრუქტურულ და ტექნიკურ მზაობას.
3. სამდივნო ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია საბჭოს თავმჯდომარის წინაშე.

4. საბჭოს თავმჯდომარის თანხმობის საფუძველზე, სამდივნოს წევრს აქვს საბჭოს სხდომებზე დასწრების უფლება. მას არ აქვს გადაწყვეტილებაზე მსჯელობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩარევის და ხმის უფლებები.

5. კონკურსის დამთავრების შემდეგ, სამდივნოს უწყდება უფლებამოსილება. სამდივნოში დაცული ყველა ოფიციალური დოკუმენტი შეინახება საბჭოს მდივანთან/მდივნის მოვალეობის შემსრულებელთან.

მუხლი 9. კანდატების რეგისტრაციის ეტაპი

1. კანდატების რეგისტრაციის ეტაპზე წარმოებს კონკურსში მონაწილეობის მსურველ პირთა განცხადებების (თანდართული დოკუმენტებით) მიღება და შემოწმება დადგენილ პირობებთან (მოთხოვნებთან), ხოლო შემდეგ - კანდიდატად რეგისტრაცია.

2. პირი კანდიდატად არ დარეგისტრირდება თუკი დადგინდა, რომ განცხადება წარმოდგენილია საკონკურსო პირობების (მაგალითად, დოკუმენტის დანაკლისი და მსგ.) ან განცხადების რეგისტრაციის ვადის დარღვევით, რის შესახებაც კანდიდატს დამატებით არ მიეთითება. ასეთი შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში იგი კარგავს კონკურსში შემდგომი მონაწილეობის უფლებას.

3. კანდატების რეგისტრაციის ეტაპზე საბჭო:

ა) შესაბამისი განცხადების საფუძველზე, რეგისტრაციაში ატარებს კანდიდატებს;

ბ) იმ კანდიდატების შემთხვევაში, რომლებსაც განცხადების წარდგენის დღის მდგომარეობით არ უკავიათ ობსერვატორიის საშტატო განრიგით განსაზღვრული მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობა, საბჭო ადგენს (განცხადებაში ფიქსირებული ნების გათვალისწინებით) აკმაყოფილებს თუ არა ეს კანდიდატი ობსერვატორიის მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს;

გ) განსაზღვრავს კონკურსის მომდევნო ეტაპზე დაშვებულ კანდიდატთა სიას (კანდიდატთა საარჩევნო სიას);

დ) ასრულებს წინამდებარე წესითა და სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 10. განცხადების წარდგენის პირობები

1. კონკურსში მონაწილეობის მსურველ პირთა განცხადებების მიღება წარმოებს ელექტრონულად, ობსერვატორიის ელექტრონულ ფოსტაზე: vacancy@abao.ge, საამისოდ განსაზღვრული ვადის ფარგლებში, 24 საათის განმავლობაში.

2. განმცხადებელს კონკურსის მიმდინარეობისას უფლება აქვს:

ა) წერილობით მიმართოს საბჭოს და მოითხოვოს თავის განცხადებაზე წარმოების შეწყვეტა;

ბ) განცხადების რეგისტრაციის ვადის ფარგლებში, მხოლოდ ერთხელ განახორციელოს განაცხადში მითითებული საკონკურსო ადგილის ცვლილება;

გ) დამატებით წარმოადგინოს პირად მონაცემებში შესული ცვლილება, არჩევის ეტაპამდე.

3. დაუშვებელია განცხადების წარდგენა ერთზე მეტ საკონკურსო თანამდებობაზე.

მუხლი 11. განცხადების რეგისტრაცია

1. კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველი ვალდებულია საბჭოს საკონკურსო სამდივნოს წარუდგინოს:

ა) **განცხადება** (ხელმოწერილი, სკანირებული) საბჭოს სახელზე, შევსებული წინამდებარე წესის N1 დანართში, ხოლო პირების შემთხვევაში, რომლებსაც საკონკურსო განცხადების წარდგენის დღის მდგომარეობით უკავიათ ობსერვატორიის საშტატო განრიგით განსაზღვრული მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობა - N2 დანართში განსაზღვრული ფორმის დაცვით;

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (პასპორტი ან პირადობის მოწმობა, სკანირებული ვერსია). უცხოურ ენაზე შედგენილი დოკუმენტის არსებობის შემთხვევაში, სავალდებულოა წარმოდგენილ იქნას მისი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი სახელმწიფო ენაზე;

გ) ავტობიოგრაფია (CV, ხელმოწერილი, სკანირებული) ფერადი ფოტოსურათით, შედგენილი წინამდებარე წესის N3 დანართში განსაზღვრული „ავტობიოგრაფიის რეკვიზიტების“ გათვალისწინებით;

დ) სამეცნიერო-კვლევითი პუბლიკაციები (ჩამონათვალი), სასურველია შესაბამისი ინტერნეტ-ბმულების მითითებით. ჩამონათვალში უნდა აღინიშნოს ავტორთა სრული სია, ხოლო თანაავტორთა დიდი რაოდენობის (5-ზე მეტი) შემთხვევაში, მხოლოდ მათი რაოდენობა. პირი, რომელსაც განცხადების წარდგენის დღის მდგომარეობით არ უკავია ობსერვატორიის საშტატო განრიგით განსაზღვრული მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობა, ვალდებულია პუბლიკაციები წარმოადგინოს მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად მოთხოვნილი სტატიებისა და შესაბამისი სტატიების იმპაქტ-ფაქტორების მითითების დაცვით;

ე) ერთი სამეცნიერო-კვლევითი პუბლიკაცია (ელექტრონულად), რომელიც კონკურსანტის აზრით საუკეთესოდ წარმოაჩენს მის კვლევით საქმიანობას;

ვ) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი (სკანირებული). უცხო ქვეყანაში (გარდა 1991 წლამდე გაცემული დოკუმენტებისა) მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის არსებობის შემთხვევაში, სავალდებულოა წარმოდგენილ იქნას მისი აღიარების დოკუმენტი (სკანირებული), გაცემული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ. საკონკურსო განცხადებების რეგისტრაციის ვადის განმავლობაში აღიარების დოკუმენტის წარმოდგენლობა არ შეაფერხებს ამ პირის მონაწილეობას და კონკურსში მის მიმართ გადაწყვეტილების მიღებას, თუმცა კანდიდატი ვალდებულია ეს დოკუმენტი მიაწოდოს ობსერვატორიის დირექტორს თანამდებობაზე მისი დამტკიცების ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს 60 კალენდარული დღის ვადაში, ხოლო მანამდე, მათ შორის 1991 წლამდე გაცემული დოკუმენტის მფლობელი კანდიდატი, საკონკურსო განცხადებების რეგისტრაციის ვადაში - უცხო ენაზე გაცემული დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი სახელმწიფო ენაზე (სკანირებული). ამ დოკუმენტების არ/ვერ წარმოდგენა ქმნის თანამდებობიდან ამ პირის გათავისუფლების საფუძველს.

ზ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი (ცნობა, შრომის წიგნაკი ან სხვ.), საიდანაც უნდა ირკვეოდეს დაკავებული თანამდებობისა და სამსახურის დაწყების და დასრულების თარიღები. უცხო ენაზე გაცემული ცნობის არსებობის შემთხვევაში, სავალდებულოა განმცხადებელმა წარმოადგინოს მისი ორიგინალი (სკანირებული) და სახელმწიფო ენაზე შესრულებული ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი (სკანირებული). აღნიშნული დოკუმენტ(ებ)ის წარმოდგენის ვალდებულება არ ვრცელდება 2020 წლის 15 დეკემბრის მდგომარეობით რიცხულ ობსერვატორიის თანამშრომლებზე იმ პერიოდთან დაკავშირებით, როდესაც ისინი დასაქმებულნი იყვნენ ობსერვატორიაში მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიუხედავად;

თ) სამოტივაციო წერილი - შესაბამისი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის მუშაობისა და განვითარების ხედვა. რეკომენდებულია სამოტივაციო წერილის მოცულობა არ აღემატებოდეს 500 სიტყვას.

2. კანდიდატი, ასევე, ვალდებულია:

ა) განცხადებისა და სხვა დოკუმენტების საბჭოსთვის წარდგენამდე (გაგზავნამდე) ყურადღება მიაქციოს რამდენად სწორად აქვს შევსებული შესაბამისი ფორმა და სრულად წარმოდგენილი მოთხოვნილი ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

ბ) ყურადღება მიაქციოს განცხადების მიღების დადასტურებას, მისი გაგზავნის შემდგომ არაუგვიანეს იმავე დღის 21:00-მდე. ასეთი დასტურის არმიღების შემთხვევაში, ტექნიკური შეფერხების გამო გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, დაუყოვნებლივ, იმავე დღესვე წარადგინოს (გადააგზავნოს) განცხადება განმეორებით;

გ) საკონკურსოდ წარადგინოს უტყუარი ინფორმაცია და დოკუმენტები, სწორად შეადგინოს მოთხოვნილი დოკუმენტები. იგი სრულადაა პასუხისმგებელი აღნიშნული პირობის დარღვევით გამოწვეული ზიანისათვის როგორც ობსერვატორიის, ისე მესამე პირების წინაშე.

3. საბჭო უფლებამოსილია კონკურსის ნებისმიერ ეტაპზე გადაამოწმოს წარმოდგენილ განცხადებაში და შესაბამის დოკუმენტებში მითითებული ინფორმაციის უტყუარობა და შეუსაბამობის დადასტურების შემთხვევაში მიიღოს გადაწყვეტილება კონკურსიდან ამ პირის დისკვალიფიკაციის ან არჩევის ბათილობის შესახებ.

4. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ბ“-„ზ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტების წარდგენის ვალდებულება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებსაც საკონკურსო განცხადების წარდგენის დღის მდგომარეობით უკავიათ ობსერვატორიის სამტატიო განრიგით განსაზღვრული მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობა.

5. დაუშვებელია განმცხადებლის/კანდიდატის მიერ საბჭოს წევრზე/სამდივნოს წევრზე რაიმე სახის ან ფორმის ჩარევა ან ზეწოლა საბჭოს საქმიანობაში ხელის შეშლის ან გადაწყვეტილებაზე გავლენის მოხდენის მიზნით.

მუხლი 12. კანდიდატის არჩევის ეტაპი

1. კანდიდატების არჩევის ეტაპზე საბჭო კენჭს უყრის კანდიდატთა საარჩევნო სიაში განსაზღვრულ პირებს ღია კენჭისყრის წესით. საბჭომ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება კენჭისყრის ფარულად ჩატარების თაობაზე.

2. დაუშვებელია არჩევნების დროს კენჭისყრაში მონაწილეობისაგან თავის შეკავება. არჩევნებში მონაწილე საბჭოს წევრი ვალდებულია დააფიქსიროს კანდიდატთან დაკავშირებით თავისი გადაწყვეტილება.

3. ერთ საკონკურსო თანამდებობაზე გამარჯვებულად ცხადდება ერთი კანდიდატი.

4. კენჭისყრის შედეგებს, საბჭოს წევრების თანდასწრებით, აჯამებს საბჭოს თავმჯდომარე, რაზეც დგება სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის არჩევის კენჭისყრის ოქმი.

5. კონკრეტული სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ვაკანტურ თანამდებობაზე შერჩეულად (გამარჯვებულად) ჩაითვლება ის კანდიდატი, რომელიც კენჭისყრისას სხვა კანდიდატებთან შედარებით ყველაზე მეტ, მაგრამ არანაკლებ კენჭისყრაში მონაწილე პირთა ნახევარზე მეტის ხმებს მოიპოვებს.

6. თუ ერთი და იგივე თანამდებობაზე ვერცერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმების საკმარისი რაოდენობა, იმავე დღეს (ჩატარების დრო დგინდება საბჭოს მიერ) გაიმართება განმეორებითი (დამატებითი) კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობას იღებს 2 საუკეთესო შედეგების მქონე კანდიდატი. დამატებითი კენჭისყრის შედეგად არჩეულია (გამარჯვებულია) კანდიდატი რომელსაც ხმა მისცა საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა. იმ შემთხვევაში თუ დამატებითი კენჭისყრის შედეგადაც ვერცერთმა პირმა ვერ მიიღო ხმათა საკმარისი რაოდენობა, ამ თანამდებობაზე კონკურსი ჩაითვლება ჩაშლილად და გამოიყენება წინამდებარე წესის მე-16 მუხლის რეგულაციები.

7. ინფორმაცია სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის ვაკანტურ თანამდებობაზე შერჩეული (გამარჯვებული) პირების შესახებ ქვეყნდება საჯაროდ, ობსერვატორიის ვებ-გვერდზე: www.abao.ge.

მუხლი 13. კანდიდატის წარდგენა

1. საბჭო ობსერვატორიის დირექტორს წარუდგენს გამარჯვებულ კანდიდატს შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე დასამტკიცებლად.

2. იმ პირების შემთხვევაში, რომლებსაც საკონკურსო განცხადების წარდგენის დღის მდგომარეობით უკავიათ ობსერვატორიის სამტატიო განრიგით განსაზღვრული მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობა, საბჭოს წარდგინებაში, ასევე, მიეთითება

გადაწყვეტილება ობსერვატორიის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლის სამეცნიერო თანამდებობისთვის განსაზღვრულ პირობებთან (მოთხოვნებთან) კანდიდატის შესაბამისობის შესახებ.

მუხლი 14. კონკურსის დასრულება

კონკურსი დასრულებულია საბჭოს მიერ კონკურსის შედეგების გამოქვეყნების (www.abao.ge) დღეს.

მუხლი 15. დავა

თუ კონკურსში მონაწილე პირი მიიჩნევს, რომ საბჭოს გადაწყვეტილებით მისი უფლება ან კანონიერი ინტერესი იზღუდება ან შეიზღუდა, მას უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მიმართოს სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების გაცნობიდან 1 თვის ვადაში.

მუხლი 16. ჩაშლილი კონკურსი

1. კონკურსი კონკრეტულ ვაკანტურ თანამდებობაზე ითვლება ჩაშლილად, თუ:
 - ა) მასში მონაწილეობა არ მიუღია არცერთ კანდიდატს, ან
 - ბ) კანდიდატმა, წინამდებარე წესით დადგენილი წესის დაცვით, მოითხოვა თავის განცხადებაზე წარმოების შეწყვეტა, კონკურენტი კანდიდატის არარსებობის პირობებში;
 - გ) არცერთი გამარჯვებული კანდიდატი არ გამოვლენილა.
2. საბჭოს მიერ ინფორმაცია კონკურსის ჩაშლის შესახებ წარედგინება ობსერვატორიის დირექტორს.
3. იმ ვაკანტურად დარჩენილ თანამდებობებზე, რომლებზეც კონკურსი ჩაიშალა, ობსერვატორია უფლებამოსილია გამოაცხადოს ხელახალი კონკურსი.

თავი III. დასკვნითი დებულებანი

მუხლი 17. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დამტკიცება

ობსერვატორიის დირექტორი კონკურსის შედეგების (საბჭოს წარდგინება) გათვალისწინებითა და გამარჯვებული კანდიდატის პირადი განცხადების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე მისი დამტკიცების შესახებ.

მუხლი 18. არქივი

1. საბჭოს საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია, კონკურსის დასრულების შემდეგ, შეინახება საბჭოს მდივანთან/მდივნის მოვალეობის შემსრულებელთან.
2. პირის მიერ წარდგენილი განცხადება და დოკუმენტები რჩება (მიზანშეწონილობიდან გამომდინარე) ობსერვატორიაში.